

**რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის გამოყენების კანონიერების საკითხები
2008 წლის აგვისტოში საქართველოზე განხორციელებულ შეიარაღებულ
თავდასხმასთან დაკავშირებით**

რეზიუმე

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ წამოიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე. რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის გამოყენება უკანონო იყო და მას საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამართლება არ მოეძებნება. ძალის გამოყენებით მან უხეშად ხელყო საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - „გაერო“) წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევით.

რუსეთის მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას არ ამართლებს და არც რაიმე კანონიერებას სძენს ძალის გამოყენების აკრძალვიდან რომელიმე არსებული (გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილების მინიჭება, თავდაცვის უფლების განხორციელება, უცხო ქვეყნის ძალების მოწვევა) ან სადავო (ჰუმანიტარული ინტერვენცია, მოქალაქეების დაცვა, სამშვიდობოების დაცვა) გამონაკლისი.

არ არსებობდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც რუსეთს რაიმე მსგავსი ქმედების უფლებამოსილებას მიანიჭებდა. მეტიც, უშიშროების საბჭოს მრავალმა წევრმა შეშფოთება გამოთქვა ამ თავდასხმის გამო. არ მომხდარა რაიმე შეიარაღებული თავდასხმა და არ ყოფილა თავდასხმის „გარდაუვალი საფრთხე“ საქართველოს მხრიდან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რაც შესაძლებელს გახდიდა რუსეთის მიერ თავდაცვის უფლების გამოყენებას. ასევე, საქართველოს არ მოუწვევია რუსეთი თავის ტერიტორიაზე ძალის გამოსაყენებლად.

რაც შეეხება ძალის გამოყენების აკრძალვიდან სადავო გამონაკლისებს, როგორც ამ დოკუმენტში იქნება ნაჩვენები, საერთაშორისო სამართალი არ უშვებს ჰუმანიტარული მიზნებისათვის ცალმხრივად და უფლებამოსილების მიუნიჭებლად ძალის გამოყენების შესაძლებლობას. არავითარი მსგავსი უფლება არ წარმოქმნილა სახელმწიფოთა პრაქტიკის შედეგად ან არ არის გათვალისწინებული

საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებული აქტებით და არსებობს სერიოზული პოლიტიკური არგუმენტები ამ უფლების მხარდაჭერის საწინააღმდეგოდ. დაცვის ვალდებულება ეხება სუვერენული სახელმწიფოების მიერ თავიანთი მოსახლეობის დაცვას და გაეროს უშიშროების საბჭოს როლს, როცა სუვერენული სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ უფლების უზრუნველყოფას. აღნიშნული არ ითვალისწინებს ცალმხრივად ძალის გამოყენების შესაძლებლობას. გარდა იმისა, რომ არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი, არ ყოფილა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში ძალის გამოყენების გამართლებას ჰუმანიტარული ინტერვენციის სადავო უფლებაზე მითითებით. ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთში ვითარების მნიშვნელოვანი ესკალაციისა და ქართულ სოფლებზე, ქართველ მშვიდობისმყოფელებზე, პოლიციასა და მოსახლეობაზე გამუდმებული თავდასხმების მიუხედავად, საქართველომ გამოიჩინა უკიდურესი თავშეკავება და მიმართა ყველა ხელმისაწვდომ დიპლომატიურ საშუალებას ძალის გამოყენების თავიდან ასაცილებლად. როგორც დადასტურდა, რუსეთის მტკიცება ქართველების მიერ ეთნიკური ოსების გენოციდის თაობაზე იყო პროპაგანდა, მიმართული რუსეთის უკანონო ქმედების გასამართლებლად და ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებების წასაქეზებლად, რათა მათ მოეწყოთ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ „გენოციდი და მასობრივი მკვლევლობები“ შურისძიების მიზნით.

ეგრეთ წოდებული „უცხო ქვეყანაში მოქალაქეთა დაცვის უფლება“ მოკლებულია სტატუსს საერთაშორისო სამართალში. ამ უფლებაზე დაყრდნობით განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმები ზოგადად გააკრიტიკა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრების უმეტესობამ. მეტიც, რუსეთი ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეობის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, საქართველო (შემდგომში - „აფხაზეთი“) მცხოვრები მოქალაქეების მიმართ, როგორც ეს *ნოტებომის* საქმეზე დაადგინა გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ. 1990-იანი წლების დასაწყისში ამ ორ რეგიონში განხორციელებული ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილი მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება იყო წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, მიმართული საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციის წინაპირობის შესაქმნელად.

არ არსებობს ძალის გამოყენების რაიმე ზოგადი უფლება უცხო ქვეყანაში მოქმედი მშვიდობისმყოფლების დაცვის მიზნით. ასევე, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ ყოფილა რაიმე შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა ამგვარი ძალის გამოყენების შესაძლებლობა. სამშვიდობო მისიის მიზანია არა აგრესიის საბაბის შექმნა, არამედ იმგვარი ომის თავიდან აცილება, როგორც რუსეთმა წამოიწყო აგვისტოში. რუსეთის მცდელობა, გაამართლოს ძალის გამოყენება მშვიდობისმყოფლების დაცვის მოტივით, დაუსაბუთებელია როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივად. საქართველოს მიერ თავდაცვის მიზნით განხორციელებული ოპერაცია დაიწყო რუსეთის სამხედრო თავდასხმიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ხოლო მანამდე რუსეთის მშვიდობისმყოფლებსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის არავითარი სამხედრო დაპირისპირება არ მომხდარა. პირველი სამხედრო დაპირისპირება მათ შორის მოხდა 8 აგვისტოს, დილის 6 საათზე, ხოლო რუსეთის სამხედრო ძალების ფართომასშტაბიანი განთავსება დაიწყო დილით ადრე 7 აგვისტოს. მეტიც, რუსული სამხედრო ბაზა, რომელზეც ქართულმა ძალებმა თავდასხმა განახორციელეს, უკვე უშუალოდ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში და, შესაბამისად, აღარ სარგებლობდა დაცვის უფლებით, რაც მას, ჩვეულებრივ, მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ძალებმა თავდასხმა განახორციელეს მხოლოდ იმ სამშვიდობო დანაყოფებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში, მაშინ როცა სხვა სამშვიდობო ძალები ამ ხნის განმავლობაში აგრძელებდნენ მუშაობას და მათ თავს არავინ დასხმია. უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს ომს სამშვიდობო კონტინგენტში პირველი მსხვერპლი მოჰყვა ქართველ მშვიდობისმყოფელთა შორის: 7 აგვისტოს, დაახლოებით 14:00-ზე, როდესაც ქართველ მშვიდობისმყოფელთა პოსტი დაიბომბა 100- და 120-მილიმეტრიანი არტილერიით მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებად სოფელ ხეთაგუროვოდან, დაიღუპა ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი - შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაკაძე - და დაიჭრა ხუთი. ერთ-ერთმა ბოევიკმა აცნობა თავის ხელმძღვანელებს ქართველ მშვიდობისმყოფელთა დაღუპვის შესახებ

ტელეფონით საუბრის დროს, რომლის ტექსტიც ასევე მოიპოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის 7 აგვისტოს.¹

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამხედრო თავდასხმის საპასუხოდ საქართველოს მიერ იძულებით განხორციელებული ქმედებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიის საზღვრებით. აღნიშნული ქმედებები იყო პროპორციული, აუცილებელი და სრულიად გამართლებული თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენების უფლებით, რომელსაც ითვალისწინებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი და გაეროს წესდება.

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

I. შესავალი

2008 წლის აგვისტოში საერთაშორისო თანამეგობრობა საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის საფუძვლების წინააღმდეგ განხორციელებული უპრეცედენტო თავდასხმის მოწმე გახდა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან მრავალი თვის განმავლობაში განხორციელებული პროვოკაციებისა და არაერთგზის საფრთხის შექმნის შემდგომ, ამ ქვეყნის სამხედრო ძალებმა გადმოკვეთეს საქართველო-რუსეთის საზღვარი და გამოიყენეს ძალა საქართველოს წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიაზე.² აღნიშნული ქმედება იყო უკანონო და მას თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად გამართლება არ მოეძებნება. რუსეთის ფედერაციამ უხეშად ხელყო საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევით.³ საქართველოს წინააღმდეგ

² ისტორიული საფუძვლებისა და სამართლებრივი დეტალებისთვის იხილეთ: Rein Mullerson, 'Precedents in the Mountains: On the Parallels and Uniqueness of the Cases of Kosovo, South Ossetia and Abkhazia' (2009) 8 *Chinese Journal of International Law* 2–25; Michael Emerson, 'PostMortem on Europe's First War of the 21st Century' (2008) 167 *CEPS Policy Briefs* 1 <<http://www.ceps.eu>> at 17 June 2009; Nicholas Lemay-Herbert, 'Zone of Conflict; Clash of Paradigms in South Ossetia' (2009) 2 *USAK Yearbook of International Politics and Law* 251-264; Derek Averre, "From Pristina to Tskhinvali: the Legacy of Operation Allied Force in Russia's Relations with the West" (2009) 85 *International Affairs* 575–591; Marc Weller, 'Settling Self-determination Conflicts: Recent Developments' (2009) 20 *European Journal of International Law* 111, 133; Noelle M. Shanahan Cutts, "Enemies through the Gates: Russian Violations of International Law in the Georgia/Abkhazia Conflict" (2008) 40 *Case Western Reserve Journal of International Law* 281; Robert J. Delahunty and Antonio F. Perez, "The Kosovo Crisis: a Dostoevskian Dialogue on International Law, Statecraft, and Soulcraft" (2009) 42 *Vanderbilt Journal of Transnational Law* 15, 21-22. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული მასალების სქოლიოში მითითება არ გულისხმობს მათში ასახული პოზიციების დადასტურებას.

³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - „გაერო“) წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის გამოყენების ან მისი მუქარისაგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით“. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თაობაზე იხილეთ მაგალითად: გაეროს გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის 2131 (XX) დეკლარაცია „სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის დაუშვებლობისა და მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“ (*Declaration on the Inadmissibility of Intervention in the Domestic Affairs of States and the Protection of Their Independence and Sovereignty*, GA Res 2131, UN GAOR, 1st Comm, 20th sess, 1408th plen mtg, UN Doc A/RES/2131, 21 December 1965); გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625 (XXV) დეკლარაცია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მეგობრული ურთიერთობებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ (*Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Cooperation among States in accordance with the Charter of the United Nations*, GA Res 2625, UN GAOR, 6th Comm, 25th sess, 1883rd plen mtg, UN Doc A/RES/2625, 24 October 1970); გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის 3314 (XXIX) რეზოლუცია „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ (*Resolution on the Definition of*

ძალის გამოყენება, რითაც ასევე დაირღვა საერთაშორისო სამართალსა და ურთიერთობებში ჩაურევლობის პრინციპი, მისი მასშტაბისა და ფარგლების გათვალისწინებით, წარმოადგენს აგრესიის აქტს.⁴

რუსეთის მიერ ძალის გამოყენება არ შეიძლება გავამართლოთ როგორც თავდაცვის უფლების გამოყენება გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქმედება კოლექტიური უსაფრთხოების კონტექსტში, სანქცირებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის თანახმად, ან როგორც ძალის გამოყენება მოწვევის საფუძველზე, განხორციელებული საქართველოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის თანხმობით. ძალის გამოყენებას, რომლის მიზანიც თავდაცვა არ არის, ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, სჭირდება სანქცირება ანუ უფლებამოსილების მინიჭება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.⁵ სხვა შესაძლო გამამართლებელ არგუმენტებს, როგორცაა მოქალაქეთა დაცვა უცხო ქვეყანაში, ჰუმანიტარული ინტერვენცია ან სამშვიდობო ოპერაციის არსიდან გამომდინარე უფლებამოსილება, საერთაშორისო სამართალში საფუძველი არ მოეპოვება და მოცემულ სიტუაციაში მათი გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია, თუნდაც მიჩნეულ იქნეს, რომ ამ დოქტრინებს საერთაშორისო სამართალში გარკვეული საფუძველი აქვს.⁶ მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ არსებობს უფლება ჰუმანიტარულ ინტერვენციაზე, როგორც ამას მეცნიერთა მცირე ნაწილი ამტკიცებს, რუსეთის ინტერვენცია არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ეგრეთ წოდებული უფლების რეალიზაციად.⁷ უნდა აღინიშნოს, რომ

Aggression, GA Res 3314, UN GAOR, 6th Comm, 29th sess, 2319th plen mtg, UN Doc A/RES/3314, 14 December 1974); საერთაშორისო სამართლის კომისია, მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტი (*International Law Commission, Draft Code of Crimes against the Peace and Security of Mankind*, as contained in Report of the International Law Commission on the Work of its 48th Session, 6 May – 26 July 1996, UN Doc A/51/10, 1996).

⁴ *Military and Paramilitary Activities in und against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*. Merits, Judgment. I.C.J. Reports 1986 (ინტერვენციის შესახებ); *International Military Tribunal, Trial of the Major War Criminals before the International Military Tribunal, Nuremberg*, 14 November 1945 – 1 October 1946 (1947) vol 1, 186 (აგრესიის დანაშაულის თაობაზე).

⁵ T Gazzini, "The Rules on the Use of Force at the Beginning of the XXI Century, *Journal of Conflict and Security Law*" 11 (319) (2006).

⁶ Brownlie & Apperley, 'Kosovo Crisis Inquiry: Memorandum on the International Law Aspects' (2000) 49 *ICLQ*, 878.

⁷ მაშინაც კი, როდესაც ეთანხმებიან ჰუმანიტარული ინტერვენციის ზოგიერთ ფორმას, სწავლულები მოითხოვენ საერთაშორისო საზოგადოების წინასწარ თანხმობას აღნიშნულ დოქტრინაზე ან გარკვეულ მხარდაჭერას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, მაგალითად იხილეთ: Antonio Cassese, 'Ex Iniuria Ius Oritur: Are We Moving towards International Legitimation of Forcible Humanitarian

გაეროს წესდების მთავარი არსი სწორედ დაეების მშვიდობიანი წესით გადაწყვეტასა და თანამშრომლობის განვითარებაში მდგომარეობს.⁸

ამ დოკუმენტში ნახვენებია, რომ საქართველოს მიერ ძალის გამოყენება ქვეყნის ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსეთის ძალების წინააღმდეგ გამართლებულია, როგორც ქმედება გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, რუსეთის აგრესიის საპასუხოდ თავდაცვის უფლების განხორციელების მიზნით და როგორც ასპექტი საქართველოს სუვერენული პრეროგატივისა, გამოიყენოს ძალა თავის ტერიტორიაზე.

ამის საპირისპიროდ, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება არის ძალის არასანქცირებული გამოყენება, ანუ აგრესიის აქტი, რაც აკრძალულია გაეროს წესდებით და საერთაშორისო სამართლით; ასევე, ეს არის დარღვევა დაეების მშვიდობიანი გადაწყვეტის ვალდებულებისა, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს და გაეროს წესდებას.⁹

Countermeasures in the World Community?' (1999) 10 *European Journal of International Law* 23. ჰუმანიტარული ინტერვენციის თაობაზე ბოლოდროინდელი შეხედულების გასაცნობად იხილეთ Nicholas Wheeler, *Saving Strangers: Humanitarian Intervention in International Society* (2000); Anne Orford, 'Muscular Humanitarianism: Reading the Narratives of the New Interventionism' (1999) 10 *European Journal of International Law* 679. ამ დრომდე ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი მოჰყვა ისრაელის შეჭრას ენტებეში (რაც არ იყო ჰუმანიტარული ინტერვენცია პირდაპირი გაგებით) და ტანზანიის მიერ უგანდის დაპყრობას: Ian Brownlie, 'Humanitarian Intervention' in John Norton Moore (ed), *Law and Civil War in the Modern World* (1974) 217; Wil Verwey, 'Humanitarian Intervention under International Law' (1985) 32 *Netherlands International Law Review* 357; Jean-Pierre Fonteyne, 'The Customary International Law Doctrine of Humanitarian Intervention: Its Current Validity under the UN Charter' (1974) 4 *California Western International Law Journal* 203.

⁸ იხილეთ: მაგალითად, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და 33-ე მუხლი.

⁹ იხილეთ: მაგალითად, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და 33-ე მუხლი.

II. საერთაშორისო სამართალი ძალის გამოყენების შესახებ

გაეროს წესდება უშვებს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ძალის გამოყენების შესაძლებლობას სამ შემთხვევაში: ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელება;¹⁰ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებულ ან კონტროლირებულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა; ძალის გამოყენება მეორე ქვეყნის მიწვევის საფუძველზე ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე.¹¹ შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფოს ქმედება, რომელიც ცდილობს გაამართლოს ძალის გამოყენება, განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გამონაკლისი შემთხვევით.

სუვერენიტეტი, ძალის გამოყენება და ჩაურევლობა

ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვა ეყრდნობა სუვერენიტეტისა და სუვერენული თანასწორობის პრინციპს, რომელსაც ითვალისწინებს საერთაშორისო სამართალი ვესტფალიის ზავიდან გაეროს წესდების ამოქმედების პერიოდის ჩათვლით.¹² სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს უფლება აქვს განსაზღვროს მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმა და არსი, ან, როგორც „მეგობრული ურთიერთობების შესახებ“ გაეროს 1970 წლის დეკლარაცია მიუთითებს:

„სახელმწიფოს სუბიექტურობის, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელემენტების წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენცია ან ინტერვენციის სხვა ნებისმიერი ფორმა ან მუქარის მცდელობა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას“.¹³

შესაბამისად, ნათელია, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საფუძველია.¹⁴ რუსეთმა არაერთხელ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ომამდე მიღებულ

¹⁰ გაეროს წესდების 51-ე მუხლი.

¹¹ გაეროს წესდების 53-ე მუხლი.

¹² გაეროს წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

¹³ გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625 (XXV) დეკლარაცია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მეგობრული ურთიერთობებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ (Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Cooperation among States in accordance with the Charter of the United Nations, GA Res 2625, UN GAOR, 6th Comm, 25th sess, 1883rd plen mtg, UN Doc A/RES/2625, 24 October 1970).

¹⁴ *Corfu Channel Case, (United Kingdom v. Alabama)*, ICJ Reports, 1949, 35.

გაეროს რეზოლუციებში.¹⁵ არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება ჩაერიოს ნებისმიერი მიზეზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მეორე ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში.¹⁶ ჩაურევლობის პრინციპი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია და მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალის გამოყენების აკრძალვასთან.¹⁷

ძალის გამოყენება, თუ ის არ არის სანქცირებული გაეროს მიერ, მიზნად არ ისახავს თავდაცვის უფლების რეალიზაციას ან არ ეფუძნება მიწვევას, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური წესრიგის ფუნდამენტური ნორმების ყველაზე აშკარა დარღვევაა. ამ ნორმების მკაცრი დაცვის გარეშე საერთაშორისო სამართალი ძალმომრეობითი, ქაოსური და ომის შედეგად შელახული აღმოჩნდება.

ძალის გამოყენების სრული აკრძალვა ჩამოყალიბებულია გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის გამოყენების ან მისი მუქარისაგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით“.

აღნიშნული აკრძალვა არის უნივერსალური იურიდიული ძალის მქონე ნორმა.¹⁸ იგი დამკვიდრებულია საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში და გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ კვალიფიცირებულია, როგორც საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა –

¹⁵ Roy Allison, “Russia resurgent?: Moscow’s Campaign to “Coerce Georgia to Peace” (2008) 84 *International Affairs* 1145–1171; P. Worsnip, “U.N. Council Still Divided on Georgia Resolution”, Reuters, August 21st, 2008.

¹⁶ გაეროს გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის 2131 (XX) დეკლარაცია „სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის დაუშვებლობისა და მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“ (*Declaration on the Inadmissibility of Intervention in the Domestic Affairs of States and the Protection of Their Independence and Sovereignty*, GA Res 2131, UN GAOR, 1st Comm, 20th sess, 1408th plen mtg, UN Doc A/RES/2131, 21 December 1965); გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625 (XXV) დეკლარაცია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მეგობრული ურთიერთობებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ (*Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Cooperation among States in accordance with the Charter of the United Nations*, GA Res 2625, UN GAOR, 6th Comm, 25th sess, 1883rd plen mtg, UN Doc A/RES/2625, 24 October 1970).

¹⁷ *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States)*, ICJ Reports, 1986, 14, 106; 1 *Oppenheim’s International Law* 334, Jennings & Watts eds., 1999, 385; M. Shaw, *International Law*, Cambridge University Press, 6th ed., p. 1039 (Shaw); A. Cassese, *International Law*, 2nd ed., 54, 111.

¹⁸ P. Malanchuk, Akehurst’s *Modern Introduction to International Law*, 7th ed., 1997, 309.

jus cogens.¹⁹ აღნიშნული გულისხმობს, რომ ეს არის განსაკუთრებით მაღალი რანგის მქონე ნორმა, რომლის თაობაზეც საერთაშორისო თანამეგობრობაში საყოველთაო თანხმობა არსებობს. გაეროს გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციებით გაეროს წესდებაში მოცემული აკრძალვა კიდევ ერთხელ დადასტურდა და აღინიშნა, რომ „ძალის გამოყენება, რომელიც არღვევს სახელმწიფოს საზღვრებს [...] ან რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალებას“²⁰ ეწინააღმდეგება საერთაშორისო მართლწესრიგს და არ შეიძლება არავითარი მიზეზის მოყვანა, რაც „ძალის გამოყენებას ან მის მუქარას გაამართლებდა“.²¹ ცხადია, აკრძალვის მიზანი იმთავითვე აბსოლუტური იყო. იგი მიიღეს იმისთვის, რომ მცირე სახელმწიფოებს მისცემოდათ გარანტიები და ამ აკრძალვის შედეგი შეუზღუდავი ყოფილიყო.²²

გაერომ პირდაპირ აღიარა, რომ ინტერვენციის ზემოთ განხილული პოლიტიკა საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობას და ხალხთა თავისუფლებას, რაც, შესაბამისად, ხელს უშლის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

¹⁹ *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States)*, ICJ Reports, 1986, § 190.

²⁰ გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625 (XXV) დეკლარაცია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მეგობრული ურთიერთობებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ (*Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Cooperation among States in accordance with the Charter of the United Nations*, GA Res 2625, UN GAOR, 6th Comm, 25th sess, 1883rd plen mtg, UN Doc A/RES/2625, 24 October 1970).

²¹ გაეროს გენერალური ასამბლეის 1987 წლის 18 ნოემბრის 42/22 დეკლარაცია „ძალის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარისაგან თავშეკავების პრინციპის ეფექტიანობის განმტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლი (*Declaration on the Enhancement of the Effectiveness of the Principle of Refraining from the Threat or Use of Force in International Relations*, G.A. Resolution 42/22, Supp. No.41, U.N. Doc. A/42/766, 1987).

²² წესდების მოსამზადებელ მასალებში (*travaux préparatoires*) ჩანს, რომ ფრაზა „სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“ (“against the territorial integrity or political independence of any state”) ჩაისვა მცირე სახელმწიფოების სურვილის საპასუხოდ, რათა ხაზგასმული ყოფილიყო მათი დაცვა (See Amendments to the Dumbarton Oaks Proposals submitted on behalf of Australia, 3 U.N.C.I.O. 543, 5 May 1945). არსებობდა შიში, რომ არ დარჩენილიყო გვერდის ავლის რაიმე პოტენციური გზა (იხილეთ, მაგალითად, Summary Report of the 11th Meeting of Committee I/1, 6 U.N.C.I.O. 335, 4 June 1945); BROWNIE, *INTERNATIONAL LAW AND THE USE OF FORCE BY STATES* 267-8 (1963); Brownlie and Apperley, ‘Kosovo Crisis Inquiry: Memorandum on the International Law Aspects’, 49 I.C.L.Q. 878 (2000), 885; AKEHURST, *A MODERN INTRODUCTION TO INTERNATIONAL LAW* 309-11 (7th edn., by Malanczuk, 1997); CHESTERMAN, *JUST WAR OR JUST PEACE? HUMANITARIAN INTERVENTION AND INTERNATIONAL LAW* 48-52 (2001).

ამ დებულებას უკავშირდება ჩაურევლობის ზოგადი ნორმა.

1965 წლის დეკლარაცია სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის დაუშვებლობის შესახებ ყურადღებას ამახვილებს ამ უკანასკნელ პრინციპზე:

„არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ჩაერიოს რაიმე მიზეზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მეორე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში. შესაბამისად, სახელმწიფოს სუბიექტურობის, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელემენტების წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენცია და ჩარევის სხვა ნებისმიერი ფორმა ან მუქარის მცდელობა დაგმობილია.“²³

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ინტერვენცია არის დარღვევა, რომელიც „ვერ [...] პოვებს ადგილს საერთაშორისო სამართალში“.²⁴

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა წარმოადგენს გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მიზანი არ არის სახელმწიფოსათვის ტერიტორიის წართმევა და თუ დამპყრობელი ძალა აპირებს მალევე გავიდეს უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან დროებითი და შეზღუდული ოპერაციის დასრულების შემდეგ.²⁵

აგრესიის აქტი

ძალის გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აკრძალულია გაეროს წესდებით და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით.²⁶ მეტიც, შეიარაღებული ძალების იძულებითი შეჭრა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ამ

²³ გაეროს გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის 2131 (XX) დეკლარაცია „სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის დაუშვებლობისა და მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“ § 1 (*Declaration on the Inadmissibility of Intervention in the Domestic Affairs of States and the Protection of Their Independence and Sovereignty*, GA Res 2131, UN GAOR, 1st Comm, 20th sess, 1408th plen mtg, UN Doc A/RES/2131, 21 December 1965).

²⁴ *Corfu Channel Case, (United Kingdom v. Alabama)*, ICJ Reports, 1949, 4, 35.

²⁵ B. Simma ed., *The Charter of the United Nations: A Commentary*, Oxford University Press 2002, 123.

²⁶ გაეროს წესდება, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

უკანასკნელის თანხმობის ან გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების გარეშე არღვევს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და, შესაძლოა, წარმოადგენდეს აგრესიის აქტს.²⁷ აგრესიის დანაშაული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია საერთაშორისო სამართალში. იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის 1945 წლის წესდებიდან (შემდგომში - „ნიურნბერგის წესდება“), რომლის მე-6 მუხლის საფუძველზეც ტრიბუნალს მიენიჭა იურისდიქცია მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, მათ შორის შემდეგი დანაშაულის მიმართ:

„აგრესიული ომის ან საერთაშორისო შეთანხმებების, ხელშეკრულებებისა და გარანტიების დარღვევით ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და წარმოება [...]“

1946 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 95(1) რეზოლუციის საფუძველზე ნიურნბერგის პრინციპები ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნაწილი გახდა. ეს პრინციპები შემდგომში არაერთხელ დადასტურდა გენერალური ასამბლეის 2131 (1965), 2625 (1970) რეზოლუციებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 3314 (1974) რეზოლუციით „აგრესიის დეფინიციის შესახებ“, სადაც გენერალურმა ასამბლეამ განსაზღვრა ის ქმედებები, რომლებიც აგრესიის აქტს წარმოადგენს. ამ ქმედებათაგან ერთ-ერთია:

„ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა ან თავდასხმა, ან სამხედრო ოკუპაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ამ შეჭრის ან თავდასხმის შედეგია[...]“

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული თავდასხმა სავსებით ემთხვევა მოცემულ დეფინიციას. მაშასადამე, ეს არის აგრესიის დანაშაული, რომელსაც მოსდევს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.²⁸

თავდაცვის უფლება

²⁷ SCHACHTER, INTERNATIONAL LAW IN THEORY AND PRACTICE 113 (1991).

²⁸ იხილეთ: მაგალითად, *R v Jones* [2006] UKHL 16.

გაეროს წესდების 51-ე მუხლი ითვალისწინებს თავდაცვის „ხელშეუვალ“ უფლებას, როგორც გამონაკლისს ძალის გამოყენების აკრძალვიდან.²⁹ თავდაცვის უფლების ფარგლებთან დაკავშირებით ყველა სახელმწიფო თანხმდება, რომ ამ უფლების ამოქმედების საფუძველია მეორე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა.³⁰ შესაბამისად, რა არის შეიარაღებული თავდასხმა?

როგორც გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „საერთაშორისო საზღვრის მეორე მხარეს სამხედრო შენაერთების ქმედება“ არის შეიარაღებული თავდასხმის ფორმა, თუ უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე უბრალო სასაზღვრო ინციდენტი“.³¹

შეიარაღებული თავდასხმის ობიექტ სახელმწიფოს ასეთ შემთხვევებში აქვს ხელშეუვალი უფლება, გამოიყენოს ძალა თავდაცვის მიზნით გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, თავდაცვის უფლების გამოყენება უნდა იყოს აუცილებელი და სამხედრო თავდასხმის პროპორციული. აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები, მართალია, არ არის მითითებული გაეროს წესდებაში, მაგრამ წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს.³² *ბირთვული იარაღის* საქმეზე გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები მოქმედებს ძალის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის მიმართ, მათ შორის გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენებისას.³³

²⁹ გაეროს წესდება, 51-ე მუხლი.

³⁰ Gray, 108.

³¹ Ibid; იხილეთ: აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის 3314 (XXIX) „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ რეზოლუციის მესამე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი (*Resolution on the Definition of Aggression*, GA Res 3314, UN GAOR, 6th Comm, 29th sess, 2319th plen mtg, UN Doc A/RES/3314, 14 December 1974).

³² *Oil Platforms Case*, § 43, 73 and 74; Gray, 121; *კაროლინის ინციდენტი* (*the Caroline Incident*): “[i]t will be for ... [Her Majesty’s] Government to show a necessity of self-defense, instant, overwhelming, leaving no choice of means, and no moment of deliberation” and the action must not be “unreasonable or excessive, since the act, justified by the necessity of self-defense, must be limited by that necessity, and kept clearly within it.”

³³ *Legality of the Threat or use of force of nuclear weapons*, advisory opinion 1997, § 41; *ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ* საქმეზე გაეროს მართლმსაჯულების სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ნორმა, რომლის თანახმადაც თავდაცვის უფლების მიზნით მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის პროპორციული და მის მოსაგერიებლად აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება შეიძლება, წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დამკვიდრებულ ნორმას (*Military*

აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, არსებობს გარკვეული ფუნდამენტური პირობები, რომლებიც ზოგადად დაცული უნდა იყოს:

- თავდაცვის მიზნით გამოყენებული ძალა არ უნდა იყოს სადამსჯელო ხასიათის;
- თავდაცვისათვის ძალის გამოყენების მიზანი უნდა იყოს თავდასხმის შეჩერება ან მოგერიება (რათა ამ ქმედებამ რეპრესალიების ხასიათი არ მიიღოს);³⁴
- ძალის გამოყენება უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი (*კაროლინის ინციდენტი*);³⁵
- არ უნდა არსებობდეს რაიმე პრაქტიკული ალტერნატივა, რომლის თანახმადაც ძალის გამოყენება აუცილებლობას კარგავს.

როგორც გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნავთობის პლატფორმის საქმეზე*³⁶ დაადგინა, „საერთაშორისო სამართლის მოთხოვნა, რომ თავდაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები უნდა იყოს აუცილებელი ამ მიზნებისათვის, არის შეუვალი და ობიექტური და არ ტოვებს საშუალებას დისკრეციული ღონისძიებებისათვის“.³⁷

აუცილებლობისა და პროპორციულობის პირობების დაცვა გამოყენებულ ძალას კანონიერად ვერ აქცევს, თუ იგი სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე უკანონოა. არ არსებობს ძალის გამოყენების აუცილებლობის ან პროპორციულობის შესწავლის საჭიროება, თუ ეს ქმედება აშკარად უკანონოა რომელიმე სხვა საფუძვლის მიხედვით.

ძალის გამოყენების სხვა გამამართლებელი საფუძვლები

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილების მინიჭება

ძალის გამოყენება შეიძლება, თუ არსებობს საამისო უფლებამოსილება ან ეს ქმედება სანქცირებულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII

and Paramilitary Activities in und against Nicaragua (Nicaragua v. United States of America). Merits, Judgment. I.C.J. Reports 1986).

³⁴ Gray.

³⁵ 29 B.F.S.P. 1137-1138; 30 B.F.S.P. 195-196.

³⁶ *Case Concerning Oil Platforms*, (Islamic Republic of Iran v. United States of America), (2003) ICJ.

³⁷ *Ibid.* § 73.

თავის შესაბამისად. რუსეთის ფედერაციას ამგვარი უფლებამოსილება მინიჭებული არ ჰქონია.³⁸

საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვა

გაეროს წესდების მიღებამდე ძალის გამოყენება უცხო ქვეყანაში მყოფი მოქალაქეებისა და ქონების დასაცავად კანონიერად ითვლებოდა.³⁹ თუმცა წესდების მიღების შემდეგ ეს პოზიცია შეიცვალა. ამჟამად ნათელია, რომ დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედება პირდაპირ არღვევს მოცემული ქვეყნის „ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“.⁴⁰ საზღვარგარეთ მოქალაქეების დაცვის მიზნით სადავო უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით ორი ყველაზე გახმაურებული მაგალითია 1976 წელს უგანდაში, ენტებეს აეროპორტში და 1983 წელს გრენადაში მომხდარი შემთხვევები, როცა ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ძალის გამოყენებას ფართო საერთაშორისო საზოგადოება მხარს არ უჭერდა. ამ უკანასკნელ, გრენადის შემთხვევაში ძალის გამოყენება დაგმო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და მხოლოდ აშშ-ის ვეტომ შეუშალა ხელი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მსგავსი რეზოლუციის მიღებას.⁴¹ კემბრიჯის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი, კრისტინ გრეი შეუდგა ეგრეთ წოდებული მოქალაქეთა დაცვის დოქტრინის კონტექსტში სახელმწიფოთა პრაქტიკის დეტალურ შესწავლას. ანალიზის შედეგად მან დაასკვნა, რომ მხოლოდ ძალიან ცოტა ქვეყანა თუ უჭერს მხარს აღნიშნულ დოქტრინას.⁴² ამ პოზიციის მომხრეა ასევე ოქსფორდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი იან ბრაუნლი.⁴³ ნათელია, რომ

³⁸ იხილეთ: *mutatis mutandis Military and Paramilitary Activities in und against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*. Merits, Judgment. I.C.J. Reports 1986; ასევე, *Case Concerning Oil Platforms, (Islamic Republic of Iran v. United States of America)*, (2003) ICJ, გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს არ დაუწვია ამ საკითხის დეტალური განხილვა, გარდა ერთი ასპექტისა, რომელიც შეეხებოდა აშშ-ის მიერ თავდაცვის უფლებაზე აპელირებით თავდასხმის ობიექტად შერჩეული სამიზნეების ბუნებას.

³⁹ Brownlie, *Use of Force*, 289.

⁴⁰ ეს კონტექსტი არ ეხება იმ სიტუაციას, როდესაც თავდასხმის ობიექტი სახელმწიფო უშუალოდ განაცხადებს თანხმობას თავის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის ყოფნაზე. Shaw, *supra* სქოლიო 17, 1143.

⁴¹ C. Gray, "The Use of Force and the International Legal Order" in M. Evans, *International Law* (2003), 602-603; იხილეთ ასევე, on Grenada: *United Nations Yearbook* 1983, 211 and on Entebbe, *United Nations Yearbook* 1976, 315. იხილეთ ასევე, M.B. Akehurst, "Use of Force to Protection National abroad", 5 *international relations*, 1977, p. 3; discussion of The Entebbe Incident, the USA interventions in the Dominican Republic (1965), Grenada (1983) and Panama (1989) and the UK in Suez (1956) is found, also, in Harris, pp. 909-912.

⁴² C. Gray, *Use of Force*, 2000, 108.

⁴³ I. Brownlie, *Principles of Public International Law*, (6th ed.), 705.

თავშესაფრის საქმეზე დადგენილი მოთხოვნები, რაც აუცილებელია ჩვეულებითი ნორმის ჩამოსაყალიბებლად, არ დაკმაყოფილებულა:

„მხარემ, რომელიც ეყრდნობა ჩვეულებით ნორმას [...] უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ნორმა ჩამოყალიბებულია [...] მოცემულ სახელმწიფოთა მუდმივი და ერთგვარი პრაქტიკის შესაბამისად[...].“⁴⁴

საზღვარგარეთ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინის შემთხვევაში პრაქტიკა ან ნაგულისხმევი თანხმობა არც მუდმივი ყოფილა და არც ერთგვარი. პირიქით, აშკარაა საპირისპირო სიტუაცია.

მეორე არგუმენტი, რასაც ზოგჯერ უთითებენ საზღვარგარეთ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინის მხარდასაჭერად, როგორც ჩანს, დაფუძნებულია თავდაცვის უფლებაზე (Nathanilo Ronzitti, *Rescuing Nationals Abroad through Military Coercion and Intervention on Grounds of Humanity*, Dordrecht, Nijhoff, 1985). ამ მოსაზრების თანახმად, ქვეყნის მოქალაქეებზე თავდასხმა ეკვივალენტური ან ანალოგიურია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და, შესაბამისად, თვით ამ ქვეყანაზე თავდასხმისა. ზოგიერთი მეცნიერი (თუმცა, უნდა ითქვას, რომ მკვლევართა აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაყოფილია) მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, მაგრამ არ არსებობს ამ პოზიციის მხარდამჭერი სახელმწიფოთა პრაქტიკა და *opinio juris*, ხოლო მეცნიერული მასალები ორაზროვანია.⁴⁵ აშკარად მიჩნეულია, რომ „სამხედრო თავდასხმა“, პირველ ყოვლისა, გულისხმობს სახელმწიფო ტერიტორიაზე თავდასხმას.

თუმცა, თუ დაუშვებთ, რომ ამგვარი უფლება დაწესდა, იგი უნდა განხორციელდეს თავდაცვის უფლებისათვის ნიშანდობლივი პრინციპების დაცვით (მაგალითად, აუცილებლობისა და პროპორციულობის პირობებით).

დასასრულ, არსებობს ძალიან ძლიერი პოლიტიკური მიზეზები, რის გამოც ამ დოქტრინას ფრთხილად ეპყრობიან. როგორც კრისტინ გრეი მიუთითებს:

„სამწუხაროდ, მოქალაქეთა დაცვა ძალიან ხშირად წარმოადგენს საბაბს მთავრობის შეცვლის რეალური მიზნის შესანიღბად.“⁴⁶

⁴⁴ *Asylum Case*, ICJ Reports (1950), 276-7.

⁴⁵ Gillian Triggs, *International Law* (2006), 588. იხილეთ ასევე I. Brownlie, *International Law and the Use of Force*, 301; Derek Bowett, *Self-defence in International Law*, 87.

⁴⁶ *Ibid.*

ძალის გამოყენება ჰუმანიტარული საფუძვლებით (ჰუმანიტარული ინტერვენცია)

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაეროს წესდება ძალის გამოყენების აკრძალვის წესთან დაკავშირებით ითვალისწინებს მხოლოდ მცირე გამონაკლისებს. ზოგიერთმა მეცნიერმა და ძალიან ცოტა სახელმწიფომ, უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებისა და თავდაცვის არგუმენტის მოშველიებით, გამოთქვა გამონაკლისთა რიცხვის გაზრდის სურვილი უცხო სახელმწიფოში დაუცველი მოსახლეობის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ან მათი უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მოტივით. მოცემულ დოქტრინას, რომელიც ხშირად მოიხსენიება ჰუმანიტარული ინტერვენციის სახელწოდებით, ბევრი მიმდევარი ჰყავს, თუმცა მას, ამავე დროს, აქვს სამი მეტად საგულისხმო ნაკლი: უპირველეს ყოვლისა, იგი არასდროს ყოფილა ინკორპორირებული რაიმე უნივერსალურ საერთაშორისო ხელშეკრულებაში; მეორე, დოქტრინას მხოლოდ უმნიშვნელო მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფო პრაქტიკაში; მესამე, იგი ეწინააღმდეგება არსებულ *jus cogens* (საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ) ნორმებს, რომლებითაც ძალის გამოყენება იკრძალება. *jus cogens* ნორმების ხასიათიდან გამომდინარე, მათი შეცვლისთვის აუცილებელია ამდაგვარი ახალი „სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული და აღიარებული“⁴⁷ ნორმის შემუშავება⁴⁸. ამჟამად ასეთი აღიარება მოსალოდნელი არ არის.

მეორე ასპექტთან დაკავშირებით: მიუხედავად ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების გასამართლებლად „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დოქტრინის მოშველიებისა,⁴⁹ ფართო საზოგადოება ნაკლებად უჭერდა მხარს ამგვარ ინტერვენციებს და უფრო გამოხდა, ვიდრე იწონებდა მათ⁵⁰. ე.წ. „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ შემთხვევების უმეტესობა, პირველ ყოვლისა, ჰუმანიტარული საფუძვლებით გამართლებული არ ყოფილა. ტანზანიის მიერ უგანდაზე

⁴⁷ V.C.L.T., art.53.

⁴⁸ Charney, 'NATO's Kosovo Intervention: Anticipatory Humanitarian Intervention in Kosovo', 93 *A.J.I.L.* 834 (1999), 837.

⁴⁹ Christine Gray, *International Law and the Use of Force*, 2nd ed. (Oxford University Press, 2004), 35.

⁵⁰ Ministerial Declaration of the 23rd Annual Meeting of the Ministers for Foreign Affairs of the Group of 77 (24 September 1999), § 69, at <http://www.g77.org/doc/Decl1999.html>.

შეიარაღებული თავდასხმა, ვიეტნამის ინტერვენცია კამბოჯაში და ინდოეთის ქმედებები აღმოსავლეთ პაკისტანში ძირითადად ან მთლიანობაში გაამართლეს თავდაცვის მოტივზე დაყრდნობით.

მეტიც, მაშინაც კი, როდესაც ინტერვენცია არ შეესაბამებოდა დადგენილ წესს, ამგვარი ქმედებები, ჰააგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს მიხედვით, მიხნეული იყო აღნიშნული წესის დარღვევად და არა ახალი წესის დამკვიდრებად.⁵¹ როგორც პროფესორი ბრაუნლი აღნიშნავს: „ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის მომხრეები ან უგულბებელყოფენ ჩვეულებითი სამართლის ახალი პრინციპების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ წინაპირობებს, ან, დროგამოშვებით, გამოდიან *opinio juris* მოთხოვნის შესუსტების წინადადებით“⁵².

ბოლო წლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის ან პრინციპის ხელახლა დამკვიდრებისთვის. ამ მიზნით ძალისხმევა სამი მიმართულებით განხორციელდა. პირველ შემთხვევაში მეცნიერები იშველიებდნენ გაეროს წესდებას ან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს ჰუმანიტარული მიზნებით ინტერვენციის უფლების გასამყარებლად. მათი მტკიცებით, რადგან ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება გაეროს სისტემისა და საერთაშორისო უფლებათა დაცვის დოკუმენტების საფუძველია, ინტერვენცია აღნიშნული ვალდებულების დაცვის მიზნით კანონიერი უნდა იყოს. მართალია, ამგვარი არგუმენტის პირველი ნაწილი, შესაძლოა, სწორიცაა, მაგრამ სრულიად ბუნდოვანია, რამდენად მიყვავართ მას იმ დასკვნამდე, რომელსაც ამ არგუმენტის მხარდამჭერები გვთავაზობენ. ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა მიზნად ისახავს სახელმწიფოთა წახალისებას და დარწმუნებას, გააუმჯობესონ მოპყრობა თავიანთი მოქალაქეებისა და უცხო პირებისადმი, თუმცა საერთაშორისო უფლებათა დაცვის დოკუმენტებში არსად არ გვხვდება ამგვარი ვალდებულებების განხორციელების მიზნით ცალმხრივად ძალის გამოყენების ნაგულისხმევი უფლება. იმავდროულად, მართალია, ადამიანის უფლებათა პატივისცემა გაეროს ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და ცალმხრივი,

⁵¹ *Military and Paramilitary Activities in und against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*. Merits, Judgment. I.C.J. Reports 1986, 98, § 186.

⁵² Brownlie, *Principles*, *supra* სქოლიო 43, 712.

არასანქცირებული ძალის გამოყენების აკრძალვა ასევე წარმოადგენს უდიდეს, თუ არა უზენაეს, ღირებულებას⁵³.

მეორე შემთხვევაში, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ნატოს ინტერვენცია კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის ახალი ნორმის დამკვიდრება იყო. თუმცა, ამგვარი მაგალითი სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული. ნატოს წევრი ქვეყნების უმეტესობა არ ამტკიცებდა, რომ ინტერვენცია გამართლებული იყო ჰუმანიტარული საფუძვლებით. ამის სანაცვლოდ, ძალის გამოყენების ნაგულისხმევი უფლების განსახორციელებლად, ისინი ეყრდნობოდნენ უშიშროების საბჭოს რამდენიმე რეზოლუციას, რომელთა მიხედვითაც სიტუაციას ახასიათებდნენ, როგორც „საფრთხეს მშვიდობის მიმართ“. იმავდროულად, ორაზროვანი იყო მეცნიერების მიდგომა ინტერვენციის საკითხისადმი. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა პროფესორ სიმას (გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე) პოზიცია, რომელიც *საერთაშორისო სამართლის ევროპულ ჟურნალში* გამოქვეყნდა. იგი ინტერვენციას უკანონოდ მიიხსენებდა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი ქმედება მორალურად ან პოლიტიკურად გამართლებული იყო)⁵⁴. მისი კანონიერება (საკანონმდებლო აქტების მიღმა), ნებისმიერ შემთხვევაში, ეფუძნებოდა ინტერვენციის მრავალმხრივ ბუნებას და (კომპეტენტურ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას და არა რაიმე განცალკევებულად მდგომ ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებას⁵⁵. ამგვარი მიდგომის გაზიარების შემთხვევაშიც, საქართველოზე რუსეთის სამხედრო თავდასხმის შემთხვევა სრულიად განსხვავებულია.

მესამე პროცესი, რომელიც შეიძლება ითქვას ხელს უწყობს ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლების განვითარებას, ხშირად მოიხსენიება „დაცვის ვალდებულების“ დოქტრინად. 2000 წელს სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიამ, კანადის მიერ დაფინანსებულმა ელიტარული პოლიტიკოსებისა და იურისტების ჯგუფმა, გამოაქვეყნა დოკუმენტი „დაცვის ვალდებულება“ (ICISS, 2000). ამ იდეამ შემდგომი განვითარება და სტატუსი პოვა

⁵³ CHESTERMAN, *supra* სქოლიო 22, p.45; DINSTEIN, WAR, AGGRESSION AND SELF-DEFENCE 89 (1988); CASSESE, INTERNATIONAL LAW 373 (2nd edn., 2005).

⁵⁴ Bruno Simma, 'NATO, the UN and the Use of Force: Legal Aspects', 10 *EJIL* (1999) 1.

⁵⁵ Gerry Simpson, *Great Powers and Outlaw States* (2004), Chapter Seven.

2004 წელს გენერალური მდივნის „მაღალი დონის პანელში საფრთხეებზე, გამოწვევებსა და ცვლილებებზე“. მას მხარი დაუჭირა თავად კოფი ანანმა თავისი მნიშვნელოვანი რეფორმის შესახებ განცხადებით - „უფრო ფართო თავისუფლებაში“ (2005). დოქტრინა ეფუძნება ორ მოსაზრებას: დაცვის ვალდებულების მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, დაიცვან თავიანთი მოქალაქეების უფლებები საკუთარ ტერიტორიაზე (სახელმწიფოთა მიერ ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციების სიმრავლის გათვალისწინებით, ამგვარი რამ თავისთავად აშკარაა); მეორე მხრივ, უშიშროების საბჭოს აქვს ჰუმანიტარული ინტერვენციების სანქციონების უფლება დაუცველი ადამიანების დაცვის მიზნით (გაეროს წესდების VII თავის 39-ე მუხლის გათვალისწინებით ასეთი რამ ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა). რა თქმა უნდა, ეს ორი ნორმა არ ამართლებს ცალმხრივი ინტერვენციის განხორციელებას. სინამდვილეში ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენციის იდეას მხარს არ უჭერს მაღალი დონის პანელი ან გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული რეფორმა. ნებისმიერ შემთხვევაში როი ელისონი ამის თაობაზე წერს:

„რუსეთის მტკიცებისა და დადუპულთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მიუხედავად, არ არსებობს რეგიონში მასობრივი სასტიკი დანაშაულების ჩადენის ან მათი ჩადენის რისკის (დაცვის ვალდებულების დოქტრინის პრევენციული კრიტერიუმი) რეალური მტკიცებულება“.⁵⁶

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაცია სამხედრო კონფლიქტის პერიოდში და მის შემდგომაც გამუდმებით მანიპულირებდა ციფრებით⁵⁷. რუსეთის ოფიციალური პირები ჯერ კიდევ 2008 წლის 9 და 10 აგვისტოს აკეთებდნენ განცხადებებს დადუპულთა დიდი რაოდენობის შესახებ და საქართველოს მთავრობის ქმედებებს გენოციდად აფასებდნენ. აშკარაა, რომ დადუპულთა და დაჭრილთა რიცხვი მეტისმეტად გადაჭარბებული იყო ინტერვენციის მორალური და სამართლებრივი გამართლების მისაღწევად. სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით (ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია –

⁵⁶ Roy Allison, "Russia resurgent?: Moscow's Campaign to 'Coerce Georgia to Peace'" (2008) 84 *International Affairs* 1145–1171 at 1153.

⁵⁷ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ Human Rights Watch Report, "Up in Flames", pp. 70-73;

Human Rights Watch), გადაჭარბებულ ციფრებს შეიძლება პირდაპირი და დამლუპველი ზეგავლენა მოეხდინა შურისმაძიებლური მკვლევარების ჩადენის წასახალისებლად. საბოლოოდ, თავად სპეციალურმა საგამოძიებო კომიტეტმა (Следственный Комитет Прокуратуры) დაადასტურა 162 ადამიანის დაღუპვა, რითაც გააბათილა რუსეთის მიერ მანამდე გამოცხადებული გაბერილი ციფრები⁵⁸.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინა საერთაშორისო სამართალში მნიშვნელოვან მხარდაჭერას ვერ პოვებს. წამყვან მეცნიერთა აზრი, სახელმწიფოთა პრაქტიკა და მისი ინსტიტუციური განვითარება მტკიცედ მიანიშნებს, რომ აღნიშნულ ნორმას არსებობის საფუძველი არ აქვს. საამისოდ არსებობს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იურიდიული მიზეზები. „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ აშკარად ადვილი გამოსაყენებელია ბოროტი მიზნებისთვის და აქამდე გამოიყენებოდა მხოლოდ სუსტი სახელმწიფოების წინააღმდეგ⁵⁹. მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინამ, შესაძლოა, გარკვეული მხარდაჭერა პოვა დომინანტი სახელმწიფოების მხრიდან გაეროს წესდებამდე არსებულ საერთაშორისო სამართალში⁶⁰, იგი შეუთავსებელია სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და ინტერვენციის დაუშვებლობის ძირეულ პრინციპებთან⁶¹.

მშვიდობისმოყვანობა დაცვა

აქამდე განხილულ საკითხებში ყურადღება გამახვილებული იყო ძირითადად საერთაშორისო სამართლის მიხედვით ძალის გამოყენების უფრო ნაცნობ გამამართლებელ საფუძვლებზე (თავდაცვა, კოლექტიური უსაფრთხოება, ჰუმანიტარული ინტერვენცია). როგორც დაგასკენით, *jus cogens* ნორმების აკრძალვათა ზემოთ აღნიშნული გამონაკლისები, გათვალისწინებული გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით, ან ვერ იქნება გამოყენებული არსებულ გარემოებებში (კოლექტიური უსაფრთხოება, თავდაცვა), ან, უპირველესად, გამონაკლისების სახით საერთოდ არ

⁵⁸ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ Human Rights Watch Report, “Up in Flames”, p. 75.

⁵⁹ Brownlie, *Use of Force*, supra სქოლიო 22, 340; Shaw, supra სქოლიო 17, 1046; Oppenheim, supra სქოლიო 17, 442-3.

⁶⁰ Shaw, supra სქოლიო 17, 1045.

⁶¹ Brownlie, *Use of Force*, supra სქოლიო 22, 341.

არსებობს (კუმანიტარული ინტერვენცია). არსებობს ბოლო, ალბათ, ნაკლებად მიღებული არგუმენტი, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, გამოიყენოს ძალა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალები თავს დაესხებიან მისი მოქალაქეებით დაკომპლექტებულ ლეგიტიმურ სამშვიდობო ძალებს.

ამგვარი არგუმენტი შეიძლება ჩამოყალიბდეს სამი განსხვავებული (თუმცა ურთიერთგადასაკვეთი) მიმართულებით. პირველ ყოვლისა, შეიძლება მტკიცება, რომ ეროვნული კონტინგენტის სახელით მოქმედება თავდაცვის ერთ-ერთი სახეა; მეორე, გამომგზავნი სახელმწიფო შესაძლოა ამტკიცებდეს, რომ მასპინძელი სახელმწიფოს თავდაპირველი თანხმობა სამშვიდობო ოპერაციაზე ამართლებს მოქმედებას საფრთხეშექმნილი მშვიდობისმყოფლების სახელით; მესამე - სახელმწიფო, შეიძლება, ამტკიცებდეს, რომ თავდაპირველ სამშვიდობო ოპერაციაზე დაუფარავად თანხმობის მიცემა თავისთავად მოიცავდა ნაგულისხმევ ძალის ამ მიზნით გამოყენების უფლებამოსილებას სამშვიდობო კონტინგენტის მხარდასაჭერად.

დოკუმენტის ეს ნაწილი თანამიმდევრობით განიხილავს თითოეულ ამ მიმართულებას.

თავდაცვა და სამშვიდობო ოპერაცია

აქ იხადება კითხვა, ჩაითვლებიან თუ არა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებული მშვიდობისმყოფლები გამომგზავნი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალად მათზე თავდასხმის შემთხვევაში და ჩაითვლება თუ არა მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმა გამომგზავნი სახელმწიფოზე თავდასხმად.

წარმოადგენენ თუ არა მშვიდობისმყოფლები „გამომგზავნი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს“? ეს საკითხი დიდად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ შეთანხმებაზე, ხელშეკრულებაზე ან ურთიერთგაგების მემორანდუმზე. ხელშეკრულებიდან ნათელია, რომ საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების სახემ ტრანსფორმაცია განიცადა 1992 წელს. შეთანხმებაში ლაპარაკია შესაბამისი რეგიონიდან „სამხედრო დანაყოფების გამოყვანაზე“ და მათს ჩანაცვლებაზე ერთობლივ საკონტროლო კომისიაზე მიმაგრებული ძალებით. ეს

შესაძლოა, მიანიშნებდეს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები ვეღარ ჩაითვლებიან „გამომგზავნი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებად“.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაყვანის შემდგომ დარჩენილი რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩაითვლებიან „გამომგზავნი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებად“, რჩება ორი კითხვა: არის თუ არა სამხედრო პერსონალზე თავდასხმა გამომგზავნი სახელმწიფოზე თავდასხმა? და არის თუ არა ამგვარ მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმა გამომგზავნი სახელმწიფოზე თავდასხმა? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მრავალი ხედვა. თუმცა, ნათელია, რომ გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი უკანონოდ მიიჩნევა ძალის გამოყენებას წვერი სახელმწიფოს „ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ წინააღმდეგ. ამგვარი ჩანაწერი მიანიშნებს, რომ გაეროს სისტემა ეხება უფრო ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევასა და პოლიტიკურ თვითგამორკვევას, ვიდრე ზოგადად სახელმწიფო ინტერესების ხელყოფას. სწორედ ამით აიხსნება, რატომ აქვს „მოქალაქეთა უცხო სახელმწიფოში დაცვის“ დოქტრინას არამყარი საფუძველი საერთაშორისო სამართალში და ამგვარი ჩანაწერი გულისხმობს იმას, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლი გამორიცხავს თავდასხმას უცხო ქვეყანაში განლაგებულ სამხედრო ძალებზე. თუ ეს ასეა უცხო ქვეყანაში სამხედრო პერსონალზე თავდასხმის შემთხვევაში, მაშინ დოქტრინა უფრო მეტად ეხება მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმას, რომელთა გამომგზავნი სახელმწიფოსთან დაკავშირება განპირობებულია სამშვიდობო შეთანხმებით გათვალისწინებული მათი სტატუსით.

რა თქმა უნდა, თავდაცვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტი მიჩნეული იქნება „გამომგზავნი სახელმწიფოს ძალებად“ და მათზე თავდასხმა ჩაითვლება რუსეთის ფედერაციაზე თავდასხმად, რაც ძალის გამოყენების უფლებას წარმოშობს, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით, ამგვარად გამოყენებული ძალა უნდა იყოს პროპორციული და აუცილებელი. რუსეთის პასუხი სამშვიდობო ძალებზე სავარაუდო თავდასხმაზე არ იყო აუცილებელი (მაგალითად, არ ყოფილა უთანხმოების სხვა საშუალებებით მოგვარების მცდელობა) და პროპორციული

(სამშვიდობო კონტინგენტზე თავდასხმის შემთხვევაში სხვა სახელმწიფოზე სამხედრო თავდასხმა პროპორციული პასუხი არ არის) ⁶².

სამართლებრივ ანალიზთან ერთად, 7 და 8 აგვისტოს მომხდარი და ქვემოთ აღწერილი ფაქტების მიხედვით აშკარაა, რომ რუსეთის მხრიდან სამხედრო თავდასხმის დაწყებამდე ამ ქვეყნის სამშვიდობო ძალებთან შეტაკება არ მომხდარა. შესაბამისად, მშვიდობისმყოფელთა დაცვის არგუმენტი რუსეთის მიერ განხორციელებული თავდასხმის ყალბი საფუძველი იყო.

თანხმობა ან სანქცირება

სოჭის შეთანხმება საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების პრინციპების თაობაზე, ხელმოწერილი 1992 წლის 24 ივნისს, იძლეოდა რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის სამხრეთ ოსეთში საქართველოს ტერიტორიაზე განთავსების უფლებას. ეს შეთანხმება მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთში შემდგომი კონფლიქტის თავიდან აცილებას, თუმცა მისი დამატებითი მიზანი იყო რუსეთის სამხედრო ძალის კონფლიქტის ზონის გარეთ განთავსების აკრძალვა. შეთანხმების მე-2 მუხლი ასევე ითვალისწინებდა რუსეთის ყველა არასამშვიდობო სამხედრო ძალის კონფლიქტის ზონიდან გასვლას. სხვა სიტყვებით, შეთანხმება არ აძლევდა რუსეთის რეგულარული არმიის დანაყოფებს სამშვიდობო საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით ძალის გამოყენების უფლებას. ასევე, სოჭის შეთანხმება არ აძლევდა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ცალმხრივად ძალის გამოყენების უფლებას. სოჭის შეთანხმება, თუკი მის ტექსტს სათანადო ყურადღებით წავიკითხავთ, მშვიდობისმყოფლებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის უფლებას ანიჭებს ერთობლივ საკონტროლო კომისიას და არა ცალკეულ სახელმწიფოს (მე-5 მუხლი). ყოველივე ეს ართულებს რუსეთის არგუმენტის მტკიცებას.⁶³

⁶² იხილეთ: Roy Allison, "Russia resurgent?: Moscow's Campaign to 'Coerce Georgia to Peace'" (2008) 84 *International Affairs* 1145–1171 at 1151 „... [დაცვა] იძლევა რუსეთის მიერ უცხო მიწიდან სამშვიდობო ძალების გადაუდებელი დახმარებისა და ევაკუაციის საფუძველს, მაგრამ არა რუსეთის მიერ განხორციელებული პასუხის, მით უმეტეს შეუზღუდავი ძალის გამოყენების საფუძველს“.

⁶³ აგრეთვე იხილეთ: Roy Allison, "Russia resurgent?: Moscow's Campaign to 'Coerce Georgia to Peace'" (2008) 84 *International Affairs* 1145–1171 at 1152.

ზოგად საერთაშორისო სამართალში არაფერი მიანიშნებს მონაწილე სახელმწიფოების უფლებაზე, გამოიყენონ თავდაცვის არგუმენტი მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმის შემთხვევაში. მშვიდობის დამყარების არსი მის კონსენსუალურ ხასიათში მდგომარეობს; მასპინძელ სახელმწიფოში სამშვიდობო ძალების განთავსება დამოკიდებულია ამ სახელმწიფოს თანხმობაზე. როგორც ვაშინგტონისა და ლის უნივერსიტეტების სამართლის სკოლის დამსახურებული პროფესორი კირგისი აღნიშნავს:

„მთავარი პრინციპი არის ის, რომ სამშვიდობო ოპერაცია უნდა ხორციელდებოდეს მასპინძელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლად და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ტარდებოდეს რომელიმე მხარის სასარგებლოდ“.⁶⁴

ამ შემთხვევაში არსებული კონკრეტული შეთანხმება არ ითვალისწინებს ამგვარ გარემოებებში რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას. სოჭის შეთანხმების სრული არსი სხვაგვარ მიმართულებაზე მიანიშნებს; თავისი სპეციფიკით იგი გათვალისწინებული იყო ამგვარი ესკალაციების თავიდან ასაცილებლად. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, სამშვიდობო ოპერაციებთან დაკავშირებით გამოიყენება ზოგადი ნორმები, რომლებიც აღგენენ ძალის ამგვარად გამოყენების აკრძალვას. თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი, იორამ დინშტაინი მოკლედ გადმოსცემს ამ საკითხს:

„სამშვიდობო ძალის ორი განსაკუთრებული ატრიბუტია ის, რომ ა) იგი ჩამოყალიბებული და შენარჩუნებულია ყველა შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით; და ბ) მას არა აქვს უფლება, განახორციელოს სამხედრო ქმედება სახელმწიფოს მიმართ“. (ხაზგასმა დამატებულია).“⁶⁵

მშვიდობისმყოფელთა მიმართ დაწესებული შეზღუდვები განხილულია ზოგიერთი ხარჯის საქმეზე გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება მშვიდობის დამყარების ხასიათს. ამ საქმეში სასამართლომ, ეგვიპტეში პირველი სამშვიდობო მისიის თაობაზე ასე განმარტა მშვიდობისმყოფელთა როლი: „... მით უმეტეს სამშვიდობო

⁶⁴ F. Kirgis, *International Organizations* 1993, 717.

⁶⁵ Y. Dinstein, *War, Aggression and Self-Defence* (3rd edition), 2001, 266.

ძალებს არ უნდა ჰქონდეთ სამშვიდობო პირობების უზურნველყოფისთვის აუცილებელზე მეტი სამხედრო ფუნქციები [...]“.⁶⁶

რა თქმა უნდა, ეს იყო გადაწყვეტილება იმ დროისთვის მიმდინარე ცალკეული ოპერაციების თაობაზე, თუმცა იგი განსაზღვრავს მშვიდობის დამყარების პირობების ზოგად კონცეფციას. ამგვარი პირობები და მთლიანობაში სამშვიდობო ოპერაციების *raison d'etre* (გონივრული საფუძველი), ისევე როგორც სოჭის შეთანხმების ცალკეული ნორმები და საერთაშორისო მართლწესრიგის ფუნდამენტური დებულებები, ნათლად მიანიშნებს, რომ რუსეთის მიერ ძალის ცალმხრივი გამოყენება ვერ პოულობს მხარდაჭერას ვერც თავდაცვის გაფართოებულ დოქტრინაში და ვერც სამშვიდობო კონტექსტში ეროვნული კონტინგენტის დასაცავად ძალის გამოყენების დისკრეციულ უფლებაში.

III. შაჰტობრივი ბარემომბანო

რუსეთის ქმედებები 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდე

რუსეთის ქმედებებმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებით საგრძნობლად აგრესიული ხასიათი მიიღო 2008 წლის დასაწყისში, კოსოვოს აღიარების შემდეგ. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და მის აღიარებამდე მაშინდელმა პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთს ჰქონდა „წინასწარი გეგმები“.⁶⁷ შემდგომ რუსეთის მოქმედება გახდა უფრო ფოკუსირებული და ინტენსიური და შედგებოდა მზარდი, ამასთან, ერთმანეთთან დაკავშირებული აგრესიული ქმედებებისგან. ეს ქმედებები მოიცავდა მტრულ პოლიტიკურ ნაბიჯებს (როგორც იყო ოფიციალური კავშირების დამყარება მარიონეტულ რეჟიმებთან), რასაც თან სდევდა პირდაპირი სამხედრო ხასიათის ქმედებები (მაგალითად, ქართული უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდება რუსული თვითმფრინავის მიერ), რუსული ჯარების უკანონო განლაგება აფხაზეთში (მაგალითად, მედესანტეებისა

⁶⁶ *Certain Expenses Case* (1962) § 10.

⁶⁷ იხილეთ: პუტინის სიტყვის ჩანაწერი:

http://www.kremlin.ru/appears/2008/02/14/1327_type63380type82634_160108.shtml.

და სარკინიგზო ჯარების) და ფორტიფიკაციების მშენებლობა აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში. 2008 წლის ივნისამდე რუსეთის ქმედებები მეტწილად ფოკუსირებული იყო აფხაზეთზე.

ცხინვალის რეგიონში მნიშვნელოვანი ესკალაცია დაიწყო 2008 წლის ივლისის დამდეგს (აფხაზეთში შემტევი სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნასთან ერთად), როდესაც მოეწყო ტერორისტული აქტი სამხრეთ ისეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის ლიკვიდაციის მიზნით. ამ ტერაქტს თან სდევდა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებზე, ქართულ პოლიციასა და სამშვიდობოებზე მარიონეტული რეჟიმის ბოვეიკთა შეტევების მასშტაბისა და სიხშირის ზრდა⁶⁸. ამ შეტევების შედეგად იყვნენ დაღუპულები და დაჭრილები (ადრეული, 1990-იანი წლების შემდეგ პირველად გამოიყენეს ამ დროისათვის მოქმედი ხელშეკრულებებით აკრძალული 120 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნები). ამავე დროს, გაიზარდა ცხინვალის რეგიონში დაქირავებული ბოვეიკების ნაკადი და გახშირდა რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ ქართული საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები. 9 ივლისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ვიზიტის წინ, ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. ეს დარღვევა დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

ყოველივე ამის შემდეგ გაიზარდა რუსული რეგულარული ჯარის სამხედრო ნაწილებისა და ტექნიკის რაოდენობა. კერძოდ, რუსეთის სამხედრო პერსონალის დიდი ნაწილი მობილიზებული იყო რუსეთ-საქართველოს საზღვართან სამხედრო წვრთნებისთვის „კავკასია 2008“. ამ წვრთნების დროს 8,000-ზე მეტმა სამხედრომ (58-ე არმიის, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის, სადესანტო, მე-4 საჰაერო არმიისა და ჰაერსაწინააღმდეგო ნაწილების ჩათვლით), მძიმე ტექნიკის 700 ერთეულმა და 30 სამხედრო თვითმფრინავმა მოახდინა „მეზობელ სახელმწიფოში“ შეჭრის სიმულაცია. იმის მიუხედავად, რომ წვრთნები 2 აგვისტოს დასრულდა, ეს ძალები რეგიონიდან არ გაუყვანიათ.

რუსული ჯარების ომამდელი განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე

⁶⁸ საქართველოს მთავრობამ იცოდა, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი შეტევები ქართულ სოფლებზე მაქსიმალური დესტრუქციის მიზნით. მაგალითად, მარიონეტულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინბაევმა უბრძანა თავის ხელქვეითებს საქართველოს მიერ კონტროლირებადი სოფლის განადგურება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

ქართული დაზვერვის მონაცემებით, 58-ე რუსული არმიის მე-19 დივიზიის დაზვერვის ცალკეული ბატალიონის ნაწილები შევიდნენ ჯავის რაიონში როკის გვირაბის გავლით 2008 წლის 3 აგვისტოს. 4 აგვისტოს ღამეს მძიმე ტექნიკის (ბტრ/ბმპ) 10 ერთეული შევიდა ცხინვალის რეგიონში რუსეთის ფედერაციიდან და შეუერთდა მარიონეტული რეჟიმის ძალებს. ორი ერთეული გადაეცა მარიონეტული რეჟიმის ბოვეიკების ჯგუფს, რომელიც განლაგებული იყო ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში. იმავე დღეს მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ედუარდ კოკოთიმ განუცხადა რუსულ მედია-საშუალებას „Кавказский узел“-ს, რომ „სამხრეთ ოსეთში“ უკვე შევიდა 300 „მოხალისე“ (ანუ დაქირავებული) ჩრდილოეთ ოსეთიდან (რუსეთის ფედერაცია) და მათი რაოდენობა თანდათან გაიზრდებოდა 2 ათასამდე.⁶⁹ იმავე საღამოს რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრმა ვიქტორ ვოლოდარსკიმ ოფიციალურად მისცა დახმარების პირობა ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს, ხოლო დონის კაზაკთა ლიდერმა ნიკოლაი კოზიცინმა განაცხადა, რომ მას შეეძლო 10-15 ათასი „მოხალისის“ (ანუ დაქირავებულის) გაგზავნა სამხრეთ ოსეთში.⁷⁰

2008 წლის 5 აგვისტოს, რუსული მედიის მონაცემებით, ცხინვალში დამატებით შევიდა დაახლოებით 150 დაქირავებული ჩრდილოეთ კავკასიიდან.⁷¹ დაქირავებულების მოძრაობა ჩრდილოეთ ოსეთიდან (რუსეთის ფედერაცია) დაადასტურა დონის კაზაკთა ჯარის მეთაურის მოადგილემ, ვლადიმირ ვორონინმა რუსულ რადიოსადგურ „ეხო მოსკვი“-თან ინტერვიუში.⁷²

იმავე დღეს, 5 აგვისტოს, ბოტლიხის (დაღესტანი) 33-ე სამთო მოტომსროლელთა ბრიგადის 40-მდე თვითმავალი არტილერიის ერთეული და დაზვერვის ბატალიონი შემოვიდა ცხინვალის რეგიონში როკის გვირაბის

⁶⁹ “В Россию прибыли эвакуируемые из Южной Осетии дети и женщины”, 04.08.08, <http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1226513.html>.

⁷⁰ “Казачи России и Зарубежья готовы оказать помощь Южной Осетии”, 04.08.2008, <http://cominf.org/node/1166477843>; “Шашки наголо: Донские казаки готовятся воевать в Южной Осетии”, 06.08.2008, http://www.ng.ru/regions/2008-08-06/1_kazaki.html.

⁷¹ “В Южную Осетию прибывают добровольцы”, 05.08.2008, <http://regnum.ru/news/1036598.html>; “В Южную Осетию прибывают добровольцы,” 05.08.2008, <http://www.radiomayak.ru/doc.html?id=88115>.

⁷² “Россия реально может быть втянута в возможное вооруженное противостояние между Грузией и Южной Осетией”, 05.08.2008, <http://www.echo.msk.ru/news/531989-echo.html>; “Тбилиси и Цхинвали обменялись угрозами”, Газета “Коммерсантъ” № 137 (3954) от 06.08.2008, <http://www.kommersant.ru/doc-rss.aspx?DocsID=1008389>.

გამოვლით და მიემატა ჯავის რაიონში უკვე შეყვანილ არტილერიის 30 ერთეულს. 58-ე არმიის ზოგიერთი დანაყოფი მობილიზებული იყო ჩრდილოეთ ოსეთში (რუსეთის ფედერაცია), როკის გვირაბთან, მათ შორის მოტომსროლელთა 135-ე ცალკეული პოლკი პროხლადნიდან (ყაბარდო-ბალყარეთი, რუსეთის ფედერაცია) და 693-ე მოტომსროლელთა პოლკი ზარამაგიდან (ჩრდილოეთი ოსეთი). მძიმე ტექნიკის შეყვანა მომდევნო დღესაც გაგრძელდა.

რუსული ჯარების მასშტაბური შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე

2008 წლის 7 აგვისტოს, დილით ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა პირველი საკომუნიკაციო ჩანაწერი, რომელიც მიანიშნებდა, რომ რუსული სამხედრო ნაწილი, ტანკებისა და ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო სატვირთო მანქანების თანხლებით, შევიდა როკის გვირაბში.⁷³ იმავე დღის 03:41-ზე რუსული რეგულარული ჯარის ჯავშნიანი მანქანების, ტანკებისა და სამხედრო სატვირთო მანქანების დიდი რაოდენობა შევიდა როკის გვირაბში და განლაგდა ჯავის რაიონში. ეს დადასტურებულია სამი სატელეფონო საუბრის ჩანაწერებით, რომლებიც მოიპოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.⁷⁴ რუსულ პრესაში დაბეჭდილი მრავალი სტატია ასევე ადასტურებს, რომ რუსული საჯარისო ნაწილები, კერძოდ, 58-ე არმიის მოტომსროლელთა 693-ე და 135-ე პოლკების შენაერთები, შემოვიდნენ ცხინვალის რეგიონში 8 აგვისტომდე.⁷⁵

⁷³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

⁷⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

⁷⁵ "ЖИЗНЬ ПРОДОЛЖАЕТСЯ", Ирина ЖИРНОВА, "Красная звезда", http://www.redstar.ru/2008/09/03_09/2_03.html; Лейтенант-танкист Александр Попов: "Мама, я ранен, но живой!" 13.08.2008, <http://www.izvestia.ru/obshchestvo/article3119449/>; "Пермские солдаты оказались в эпицентре войны", 15.08.2008, <http://www.permnews.ru/story.asp?kt=2912&n=453>; "Пермские солдаты, не отслужившие полгода, будут отозваны из зоны конфликта", 02.09.2008, <http://prm.ru/perm/2008-09-02/22365>; Вечерний Саранск 27.08.2008, <http://www.vsar.ru/>; "Военнослужащий из Мордовии награжден за мужество Президентом России", 28.08.2008, <http://www.saransk-online.ru/news/index.php?ID=3510>; "В Южной Осетии погиб контрактник из Казани", 12.08.2008, <http://www.kp.ru/daily/24144/361865/>; "Война всѣ спишет! Саакашвили как европейский шпион", 12.08.2008, <http://www.gpn.ru/column/article20635.htm>; Блиц-опрос: "Мама, нас отправляют в Южную Осетию", 15.08.2008, http://www.vk-smi.ru/2008/2008_08/vk_08_08_15_03.htm; "ОСЕТИНСКОЕ СЕРДЦЕ РУССКОГО СОЛДАТА", 23.09.2008, http://www.redstar.ru/2008/09/23_09/2_01.html; "В Южной Осетии ранены трое курян", 26.08.2008, <http://dddkursk.ru/number/724/new/005540/print/>; "Что война будет, мы знали еще в начале августа", 17.08.2008, <http://www.kp.ru/daily/24147/364238/>; "Не смогу я теперь своих солдатиков бросить", <http://www.gazetayuga.ru/archive/2008/35.htm>; "Трое суток в чеченском "Востоке", Будни элитного спецподразделения федеральных сил", 08.08.2008,

7 აგვისტოს, საღამოს, საქართველოს მთავრობა პრინციპულად შეცვლილი ვითარების წინაშე აღმოჩნდა: დაძაბულობის განმუხტვის მრავალი მცდელობისა და ქვეყნის ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის მიუხედავად, საქართველოს მიერ კონტროლირებადი სოფლები, პოლიციელთა და მშვიდობისყოფელთა პოსტები, გამუდმებული ცეცხლის ქვეშ მოექცა. ამის შედეგად, მშვიდობიანი მოსახლეობა დაუცველი აღმოჩნდა იზოლირებულ ანკლავში. იმავე დღეს, შუადღისას, მიზანმიმართულ სამხედრო შეტევას მოჰყვა პირველი მსხვერპლი: დაიღუპა ორი ქართველი მშვიდობისყოფელი.⁷⁶

ძალადობის უპრეცედენტო ზრდის შესახებ კომენტარის გაკეთებისას მარიონეტული ლიდერი ეღუარდ კოკოითი დაიმუქრა ქართული ანკლავების „ლიკვიდაციით“, თუკი ქართველი სამართალდამცველები არ დატოვებდნენ რეგიონს. გარდა არსებული ინფორმაციისა რეგიონში რუსული ჯარის ნაწილებისა და დაქირავებულების შესვლის შესახებ, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სარწმუნო მონაცემები, რომ მიმდინარეობდა რუსული ძალების მასშტაბური შემოჭრა. 7 აგვისტოს, საღამოს, საქართველოს მთავრობას ხელთ ჰქონდა მრავალი სადაზვერვო მონაცემი იმის თაობაზე, რომ დაახლოებით 150 ჯავშნიანი მანქანა და რუსი ჯარისკაცებით დატვირთული მანქანები მოემართებოდნენ როკის გვირაბისკენ რუსეთის მხრიდან და მოძრაობდნენ ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. მოგვიანებით, 8 აგვისტოს 02:20-სა და 04:30-ს შორის, მარიონეტული რეჟიმის სამხედრო და უშიშროების თანამდებობის პირების სატელეფონო საუბრების

http://nvo.ng.ru/forces/2008-08-08/6_vostok.html; "Военно-осетинские дороги", 15.09.2008, <http://www.novayagazeta.ru/data/2008/68/17.html>; "12 часов до смерти Первый день войны глазами спецкора "МК", 12.08.2008, <http://www.mk.ru/blogs/MK/2008/08/12/society/366011/>; "Вадим Речкалов, <http://voinodel.livejournal.com/33871.html?thread=916559#t916559>; Le conflit qui empoisonne, les rapports Est-Ouest, <http://www.lefigaro.fr/international/2008/09/01/01003-20080901ARTF1G00298-le-conflit-qui-empoisonne-les-rapports-est-ouest-.php>; Мать погибшего донского солдата: "Два дня нам не говорили о смерти сына", 15.08.2008, www.kp.ru/daily/24146/363581/; "КАЛЕННЫЕ ОГНЕМ", 24.09.2008, http://www.redstar.ru/2008/09/24_09/3_03.html; "Вернулся в строй, Во Владикавказе установили бюст Героя России", 21.05.2009, <http://www.rg.ru/2009/05/21/reg-kuban/geroy.html>; "Времена и ..., Все зависит от нашей политической зрелости и национальной состоятельности", 07.03.2009, http://ugo-osetia.ru/9_19+20/9_19+20-10.html.

⁷⁶ ორი ქართველი მშვიდობისყოფელი - შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაკაძე დაიღუპნენ, ხოლო ხუთი დაიჭრა (იხილეთ: სამხედრო შეკითხვათა პირველ შეკითხვაზე პასუხის დანართი 33-ე). 7 აგვისტოს, დაახლოებით 14:00-ზე, როდესაც ქართველ მშვიდობისყოფელთა პოსტი დაიბომბა 100- და 120- მილიმეტრიანი არტილერიით მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებად სოფელ ხეთაგუროვოდან. ერთ-ერთმა ბოვეიკმა აცნობა ხელმძღვანელებს ქართველ მშვიდობისყოფელთა დაღუპვის შესახებ სატელეფონო საუბარში, რომლის ჩანაწერიც ასევე მოიპოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის 7 ივლისს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

ჩანაწერებმა დაადასტურა, რომ რუსული სამხედრო კოლონები განლაგებული იყო როკის გვირაბიდან სოფელ ჯავამდე.⁷⁷

ამ ესკალაციის საპასუხოდ და საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლზე დაყრდნობით, საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად, 7 აგვისტოს 23:35-ზე, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა თავდაცვითი ოპერაციის დაწყების ბრძანება.

რუსული ჯარების მოძრაობა შემოჭრის შემდეგ

8 აგვისტოს, 05:20-ზე, რუსულმა ჯარებმა გამოიარეს დაბა ჯავა, გადმოლახეს გუფთის ხიდი და მოძრაობდნენ ძარის შემოვლით გზაზე, რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერით.⁷⁸ ამის შემდეგ ცოტა ხანში რუსული ჯარების კიდევ ორი კოლონა შევიდა როკის გვირაბში და დაიძრა სამხრეთით გერი-დმენისის გზით. 18:45-ზე რუსული ტანკების, ჯავშნიანი და სატვირთო მანქანების კოლონა მიუახლოვდა ცხინვალს ძარის გზით. კიდევ ორი კოლონა შეაჩერეს სოფელ დმენისთან. რუსულმა ჯარებმა დმენისში, ცხინვალში და გარშემო სიმაღლეებზე განლაგებულ ქართულ შეიარაღებულ ძალებს მასირებული ცეცხლი გაუხსნეს. 22:00-თვის რუსეთის ჯარები ჩრდილოეთიდან მიუახლოვდნენ დიდი ლიახვის ხეობას, მაგრამ ქართული არტილერიის ცეცხლის შედეგად მძიმე დანაკარგები მიიღეს და ხეობაში ვერ შევიდნენ. მათ ასევე შეაჩერეს მოძრაობა ცხინვალისკენ ძარის გზით.

9 აგვისტოს, 11:40-ზე, რუსულმა ჯარებმა, მათ შორის მედეხანტეებმა, დაიწყეს ცხინვალში შესვლა ჩრდილო-დასავლეთიდან და სოფელ ტბეთიდან. 17:00-ზე ცხინვალში შევიდნენ დამატებითი რუსული ჯარები.

იმავე დღეს, 13:40-სა და 14:40-ს შორის, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბეს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლები ზემო აფხაზეთში/კოდორის ხეობაში, მათ შორის ამ რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი ჩხალთა. 22:20-ზე რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა ზემო აფხაზეთი.

10 აგვისტოს, დილით ადრე, როკის გვირაბი გამოიარა 300-ზე მეტმა რუსულმა ტანკმა და ჯავშნიანმა მანქანამ და 10 000-ზე მეტმა რუსმა სამხედრომ.

⁷⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

⁷⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

იმავე დღეს, 06:00-სა და 11:30-ს შორის, რუსული ავიაცია ბომბავდა ზემო აფხაზეთს. საჰაერო შეტევები ზემო აფხაზეთზე გაგრძელდა მეორე დღესაც. 2008 წლის 11 აგვისტოს, შუადღისთვის, რუსებმა მოიპოვეს სრული კონტროლი ზემო აფხაზეთზე/კოდორის ხეობაზე.

2008 წლის 11 აგვისტოს ქართულმა ჯარებმა დაიწვეს უკან დახევა და გამოემართნენ თბილისისაკენ, რათა დაეცვათ დედაქალაქი მისკენ დაძრული რუსული ჯარებისაგან.

2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის შუამავლობით მოხდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ; ამის მიუხედავად, გაგრძელდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია რუსეთის მიერ.

ამჟამად რუსეთი განაგრძობს ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას, მათ შორის იმ ტერიტორიებისა, რომლებსაც საქართველოს მთავრობა აკონტროლებდა აგვისტოს ომამდე, ისევე როგორც კოდორის ხეობაში, რომელზეც ასევე არ იყო დაწესებული აფხაზური/რუსული კონტროლი 2008 წლის აგვისტომდე.

აგვისტოს ომის დროს ქართული ჯარები მოძრაობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც აღიარებული და დამტკიცებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით - 1808, 1781, 1752, 1716, 1666, 1656, 1615, 1582, 1554, 1524, 1494, 1462, 1427, 1393, 1364, 1339, 1311, 1287, 1255, 1225, 1187, 1150, 1124, 1096, 993, 971, 937, 934, 906, 901, 896, 892, 881, 876, 858, 854, 849. მოძრაობა ხდებოდა კონსტიტუციის მოთხოვნების ფარგლებში, საქართველოს სუვერენული პრეროგატივის კონტექსტში და გაეროს წესდების 51-ე მუხლსა და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში გათვალისწინებული თავდაცვის უფლების შესაბამისად.

IV. რუსეთის მიერ ძალის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, როგორც აბრეშისი უკანონო აქტი

რუსეთმა განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე და მისი ოკუპაცია ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლის უგულვებელყოფით. რუსეთის ფედერაციას ძალის გამოყენების უფლებამოსილება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მინიჭებული არ ჰქონია და აღნიშნული ქმედებაც ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერი თავდაცვის უფლების

გამოყენებად. ნათელია, რომ რუსეთის ფედერაციის ძალებმა გადმოკვეთეს საქართველო-რუსეთის საზღვარი, შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს მისი ოკუპაცია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის დარღვევით (იხ. ზევით). რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული თავდასხმის გამართლება არ შეიძლება ეგრეთ წოდებული უცხო ქვეყანაში მოქალაქეთა დაცვის უფლებით. ამ უფლებას საერთაშორისო სამართალში საფუძველი არ მოეპოვება. აღნიშნულ სადავო ნორმაზე დაყრდნობით განხორციელებული ინტერვენციები მკაცრად დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ და ძალზე ხშირად ამ უფლებაზე მითითება მხოლოდ საბაბია უკანონო ინტერვენციისათვის. არ შეიძლება რუსეთის თავდასხმა გამართლება, როგორც „ჰუმანიტარული ინტერვენციისა“. ამ დოქტრინას ძალიან ცოტა ქვეყანა ან მეცნიერი თუ უჭერს მხარს. ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული თავდასხმა ვერ უპასუხებს იმ პირობებს, რაც საჭიროა ამ სადავო უფლების რეალიზაციისათვის. დასასრულ, რუსეთს არ შეუძლია დაეყრდნოს ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთში განლაგებული მშვიდობისმყოფლების დაცვის საფუძვლებს განხილული მიზეზების გამო, ასევე იმის გამო, რომ საქართველომ მშვიდობისმყოფლების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის მიერ წამოწყებულ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებისა და ამ ქვეყნის მიერ სამშვიდობო შეთანხმების დარღვევის შედეგად მათ დაცვის სტატუსი დაკარგეს.

ძალის გამოყენების გამამართლებელი პირველი ორი საფუძველი - გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილების მინიჭება და თავდაცვა - რუსეთის ფედერაციას არასდროს წამოუყენებია თავისი ქმედების გასამართლებლად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ეს საფუძვლები აშკარად არარელევანტურია. ამგვარად, ამ დოკუმენტში ეს საკითხები დეტალურად განხილული არ იქნება.

მოქალაქეთა დაცვა

როგორც ეს ზევით არის აღნიშნული, საერთაშორისო სამართალი და გაეროს წესდების მიღების შემდეგ დამკვიდრებული სამართლებრივი წესრიგი არ ცნობს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ძალა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქალაქეთა დაცვის მოტივით. მეტიც, ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ რუსეთის ფედერაცია ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეობის თაობაზე საერთაშორისო

სამართლით დადგენილ სტანდარტს, რომელიც გამოიყენა გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნოტებომის* საქმეზე. რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება საქართველოს ამ რეგიონებში დარჩენილი მოსახლეობისათვის იყო წინასწარ განზრახული და დაგეგმილი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა დაცვის არარსებული უფლების საბაბით რუსეთის სამხედრო ინტერვენციას საქართველოს ტერიტორიაზე.

რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას შორის ბუნებრივი კავშირის დადგენის კონტექსტში მნიშვნელოვანია ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებთა პასპორტიზაციის პროცესის რამდენიმე ელემენტი:

- აღნიშნული პროცესი დაიგეგმა და მასობრივად განხორციელდა როგორც რუსეთის ფედერაციის კონკრეტული პოლიტიკის ნაწილი და იგი არ იყო ინიცირებული იმ პირთა მიერ, რომელთაც შესაძლოა მართლაც ჰქონდათ განზრახული რუსეთის მოქალაქეობის მიღება;

- პროცესი იყო არა შემთხვევითი ან არაორგანიზებული, არამედ - კარგად დაგეგმილი და კოორდინირებული რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა უწყების მიერ;

- პასპორტიზაცია წარიმართა საქართველოს კანონმდებლობის სრული დარღვევით; საქართველოს მოქალაქეებს მასობრივად მიენიჭათ რუსეთის მოქალაქეობა. ამგვარად, აშკარად დაირღვა საქართველოს სუვერენული უფლება და მეგობრული ურთიერთობების პრინციპები.

საქართველოს მოქალაქეების უკანონო პასპორტიზაციის დაწყების შემდგომ რუსეთმა შეცვალა შესაბამისი კანონმდებლობა, რათა ხელი შეეწყოს ამ პროცესისათვის. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ ცვლილებები შეიტანა მოქალაქეობის შესახებ კანონში, რასაც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მხრიდან მკაცრი პროტესტი მოჰყვა.⁷⁹ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ამგვარი ქმედება დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ. ევროპის კავშირის მიერ მიღებულ დოკუმენტში რუსეთს საზგასმით მიეთითა, რომ აღნიშნული ქმედება საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს

⁷⁹ "Georgia Protests about Russian Citizenship Law Amendments," Rustavi-2 Television 1600 GMT, 10 June 2002, in BBC Monitoring.

და შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც ამ რეგიონების დე ფაქტო ანექსია.⁸⁰

შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი მცდელობა, რომ გაამართლოს ძალის გამოყენება „საზღვარგარეთ მოქალაქეთა დაცვის უფლებით“, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ჰუმანიტარული ინტერვენცია

ჰუმანიტარული ინტერვენციის პრინციპს მხარს არ უჭერს სახელმწიფო პრაქტიკა და *opinio juris*-ი და არ არსებობს არავითარი ფაქტობრივი საფუძველი ამგვარი მიზნით ძალის გამოყენების გამართლებისთვის (იხილეთ ზემოთ).

ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთში ვითარების მნიშვნელოვნად ესკალაციის, საქართველოს სოფლებზე გამუდმებული თავდასხმებისა და იმ მსხვერპლის მიუხედავად, რაც რუსულ აგრესიას ქართველ მშვიდობისმყოფლებს, სამართალდამცველებსა და სამოქალაქო პირებს შორის მოჰყვა, საქართველომ გამოიჩინა მაქსიმალური თავშეკავებულობა და მიმართა ყველა ხელმისაწვდომ დიპლომატიურ ზომას ძალის გამოყენების თავიდან ასაცილებლად (იხილეთ ზემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძალის გამოყენება მოუხდა თავდაცვის მიზნით რუსეთის აგრესიის საპასუხოდ, რუსეთის მთავრობა არ წყვეტდა პროპაგანდას, რომ საქართველომ განახორციელა გენოციდი ეთნიკური ოსების მიმართ⁸¹. ამ პროპაგანდას ორი მიზანი ჰქონდა: პირველი - რუსეთის უკანონო ქმედებების გამართლება; მეორე - ოსეთის მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული ძალებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების წახალისება „გენოციდისა და მასობრივი მკვლევლობების“ საპასუხოდ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სისასტიკის ჩასადენად. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია თავის ანგარიშში - „Up in Flames“ - ამტკიცებს, რომ რუსეთის განცხადება საქართველოს მიერ გენოციდის ჩადენის თაობაზე არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებით⁸². აღნიშნულ ბრალდებას მხარი არ დაუჭირა არც ევროსაბჭოს

⁸⁰ Declarations and Recommendations adopted by EU Parliamentary Cooperation Committee at its 3rd meeting on 18-19 June 2001, IRE/PCC/GH/KM/es, 27 June 2001, para. 27.

⁸¹ Dmitry Medvedev statement of August 10, 2008, see SKP RF Opened a Criminal Investigation into the Killings of Russian citizens in South Ossetia, Kommersant Online, August 14, 2008, <http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1011523&ThemesID=301>.

⁸² Up in Flames, p. 71-72.

საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტმა „წვერი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების პატივისცემის თაობაზე“ რომლის წარმომადგენლებმაც მონაზულეს საქართველო და რუსეთი გვიან სექტემბერში⁸³. დასასრულ, თავად სპეციალურმა საგამოძიებო კომიტეტმა (Следственный Комитет Прокуратуры) მანამდე გაბერილი ციფრების ნაცვლად დაადასტურა მხოლოდ 162 პირის დაღუპვა.

რუსეთის ფედერაცია ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის მოშველიებით ცდილობს შენიღბოს თავისი რეალური მიზნები. ეს მცდელობა არ არის გამყარებული ფაქტებით და, შესაბამისად, ვერ იქნება გამართლებული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

მშვიდობისმყოფელთა დაცვა

როგორც ზემოთ განხილული არგუმენტი ცხადყოფს, არ არსებობს ძალის გამოყენების ზოგადი უფლება ეროვნული სამშვიდობო კონტინგენტის დასახმარებლად ან დასაცავად. მშვიდობისმყოფელთა სტატუსი და დაცვა (მისი სხვადასხვა ფორმა), რაც მათ გარანტირებული აქვთ საერთაშორისო სამართლის მიერ, ამავე სამართლის მიხედვით, მოქმედებს მანამ, სანამ მშვიდობისმყოფლები ნეიტრალური რჩებიან; საბრძოლო ქმედებებში ჩართვის შემთხვევაში ისინი ავტომატურად კარგავენ სტატუსსა და დაცვას.

მშვიდობისმყოფელთა დაცვის მიზნით ძალის გამოყენების არგუმენტს ასუსტებს ის ფაქტი, რომ საქართველომ თავდაცვითი ოპერაცია დაიწყო რუსეთის მიერ სამხედრო თავდასხმის განხორციელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მანამდე კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სამშვიდობო ძალებს შორის რაიმე შეტაკება არ მომხდარა. პირიქით, რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო თავდასხმამდე, 7 აგვისტომდე ერთი კვირის განმავლობაში, გრძელდებოდა თავდასხმა ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთში განლაგებულ ქართულ სამშვიდობო ძალებსა და მათს საგუშაგოებზე (იხილეთ ზემოთ).

რაც შეეხება მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობას სამხედრო ქმედებებში, 8 აგვისტოს 00:23 საათამდე შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმეტოვმა საქართველოს სამშვიდობო ძალების მეთაურთან მამუკა ყურაშვილთან სატელეფონო საუბარში აღიარა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის სამხედრო არტილერიას ატყობინებდნენ

⁸³ PACE, Committee on Legal Affairs and Human Rights, “The consequences of the war between Georgia and Russia” opinion by Rapporteur Christos Pourgourides, Doc. 11732, rev. October 1, 2008.

საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციების კოორდინატებს⁸⁴. 8 აგვისტოს, დაახლოებით 06:00 საათზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ძალები „კობრას“ ტიპის ჯავშანმანქანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ტანკთან ერთად, სოფელ ზემო ნიქოზიდან გადავიდნენ ცხინვალის მისადგომებთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ძალები გადააწყდნენ სნაიპერებს და ჯავშანმანქანებიდან გახსნილ მასირებულ ცეცხლს ქალაქის განაპირა სამხრეთ-დასავლეთით განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბის, „ვერხნი გოროდოკის“ მხრიდან, რის გამოც იძულებული გახდნენ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ და ბაზიდან სატანკო დახმარება გამოეძახებინათ. გარდა განხორციელებული თავდასხმისა, „ვერხნი გოროდოკის“ შენობის სახურავი გამოყენებულ იქნა საქართველოს სამხედრო ძალის წინააღმდეგ საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის, რაც დადასტურებულია სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული სტატიებით⁸⁵. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო ძალებმა თავდასხმა განახორციელეს მხოლოდ სამხედრო ქმედებებში უშუალოდ მონაწილე სამშვიდობო დანაყოფებსა და მათს ინფრასტრუქტურაზე, მაშინ როდესაც რუსეთის სხვა სამშვიდობო ძალების პოსტები აგრძელებდნენ ფუნქციონირებას სამხედრო მოქმედებების განმავლობაში, მაგრამ თავდასხმის ობიექტი არასდროს გამხდარან.

ამგვარად, რუსეთის მცდელობა, გაამართლოს ძალის გამოყენება მშვიდობისმყოფელთა დაცვის მიზნით, უსაფუძვლოა: პირველ ყოვლისა, არ არსებობს ძალის გამოყენების ზოგადი უფლება ეროვნული სამშვიდობო კონტინგენტის დახმარების ან დაცვის მიზნით; მეორე - რუსეთის სამშვიდობო ძალებსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკება მოხდა 8 აგვისტოს, დაახლოებით დილის 6 საათზე, მაშინ როდესაც რუსეთის სამხედრო ძალების დისლოცირება დაიწყო 7 აგვისტოს, დილით ადრე. მეტიც, საქართველოს სამხედრო ძალამ თავდასხმა განახორციელა სამხედრო ქმედებებში უშუალოდ მონაწილე რუსეთის სამშვიდობო ბაზაზე, რომელზეც, ამგვარი ქმედებების გამო, აღარ ვრცელდებოდა საერთაშორისო სამართლის დაცვა.

⁸⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.

⁸⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს აღნიშნულის დამადასტურებელ სატელეფონო საუბრის ჩანაწერს; აგრეთვე იხილეთ: <http://osradio.ru/genocid/10778-oleg-galavanov-pogib-projaviv-muzhestvo-i-geroizm.html>.

V. საქართველო მოქმედებდა თავდაცვის მიზნით

საქართველოს სამხედრო ოპერაცია, რომელიც დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს 23:50 საათზე, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით, იყო თავდაცვას უფლების განხორციელება *საკუთარ ტერიტორიაზე*:

- საქართველო მოქმედებდა საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების თავდასხმის წინააღმდეგ;
- რუსეთის სამხედრო თავდასხმა განხორციელდა მთავარსარდლის მიერ ძალის გამოყენების ბრძანების გაცემის მომენტიდან;
- საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული შეიარაღებული თავდასხმა;
- საქართველოს ქმედებები მიმართული იყო საკუთარი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე საკუთარ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისაკენ.

ძალის გამოყენება აუცილებელი და გარდაუვალი იყო რუსეთის მიმდინარე აგრესიის შესაჩერებლად. საქართველომ მიმართა ყველა ხელმისაწვდომ პოლიტიკურ და დიპლომატიურ საშუალებას სამხედრო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, თუმცა მისი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა.

მიუხედავად განხორციელებული დიპლომატიური და პრევენციული ზომებისა, საქართველოს მთავრობის მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის გამოცხადების ჩათვლით, საქართველოს სოფლების დაბომბვა, ისევე როგორც რუსეთის სამხედრო ძალების გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე გრძელდებოდა, რის გამოც თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება გარდაუვალი გახდა.

საქართველოს სამხედრო ძალები მოქმედებდნენ თავდაცვის მიზნით მშობლიურ მიწაზე. მათი ქმედებები იყო ლეგიტიმური და სრულიად კანონიერი პასუხი გაეროს წესდებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ჩაურევლობის ნორმების აშკარა დარღვევაზე. საქართველოს მიერ ძალის

გამოყენება რუსეთის დამპყრობელი არმიის წინააღმდეგ იყო აუცილებელი და პროპორციული.

დასკვნის სახით: რუსეთის სამხედრო თავდასხმა საქართველოზე არის ძალის უკანონო გამოყენება, რაც ეწინააღმდეგება გაეროს წესდებს და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს. ზოგადი აკრძალვის ვერც ერთი გამონაკლისი, არსებული (თავდაცვა, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილების მინიჭება) თუ სადავო (ჰუმანიტარული ინტერვენცია, მოქალაქეთა დაცვა, მშვიდობისმყოფელთა დაცვა) მას ვერ ამართლებს. საქართველოს პასუხი რუსეთის სამხედრო თავდასხმაზე იყო პროპორციული, აუცილებელი და სრულიად გამართლებული განხორციელება თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენების უფლებისა, რაც განსაზღვრულია ჩვეულებითი სამართლითა და გაეროს წესდებით.